პროლეტარებო უფელა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 299 (11605)
ხუთშაბათი
24
დეკემბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1959 წლის 23 დეკემბერს მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

დილის სხდომაზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ტ. უ. ულჯაბაევისა და აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. ი. ახუნდოვის მოხსენებანი.

შემდეგ დაიწყო განხილვა მოხსენებებისა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ (სკკპ XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1958 წ.) პლენუმის იმ გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია მიწათმოქმედების აღმავლობა და მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და მემცენარეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება და ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრებით განმტკიცება; სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაცია, შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება; კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება).

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ა. ნ. ლარიონოვი (სკკპ რიაზანის საოლქო კომიტეტის მდივანი), ი. ს. ჩიუი (ლვოვის ოლქის ზოლოჩევის რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის მეღორე), ა. პ. კირილენკო (სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი), ტ. კ. ტრეტიაკოვი (კრასნოდარის მხარის კორენოვსკაიას რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე).

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ს. დ. იგნატიევი (სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), ე. ა. დოლინიუკი (ტერნოპოლის ოლქის მელნიცა-პოდოლსკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური), დ. ა. კუნაევი (ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), ს. კ. კოროტკოვი (ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ა. თ. ზასიადკო (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), კ. ი. შაპლიკო (მინსკის ოლქის ლუბანის რაიონის კოლმეურნეობა „ჩერვონაია ზმენას“ თავმჯდომარე).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

სურათზე: მოსკოვი. წითელი მოედანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი საქართველოდან. ფოტო ხ. ონანოვისა. (ჩვენი სპეც. ფოტოკორესპონდენტი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

22 დეკემბრის საღამოს სხდომა

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **კ. ტ. მაზუროვს.** იგი ამბობს, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მოიპოვეს ერთგვარი წარმატებანი. ვადამდე შესრულებულია მარცვლეულის, კარტოფილის, რძის, ხორცის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. მაგრამ ბელორუსიის სსრ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორულ მუშაობაში ნაკლოვანებათა შედეგად ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებანი, ხოლო, მაშასადამე, ისინი ვერ შეასრულა რესპუბლიკამაც მთლიანად. ამაზე გავლენა მოახდინა ამინდის არახელსაყრელმა პირობებმაც. მაგრამ, წინასწარი მონაცემებით, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული მიღებულია დაახლოებით იმდენივე, რამდენიც გასულ წელს.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გამოიყენეს სიმინდის მოყვანის მოწინავე აგროტექნიკა და კომპლექსური მექანიზაცია და საშუალოდ ჰექტარზე აიღეს 400 ცენტნერი მწვანე მასა, ხოლო 400 რგოლმა ჰექტარზე მიიღო 1.000-დან 1.500 ცენტნერამდე მწვანე მასა. სილოსი რესპუბლიკაში თვითეული ძროხისათვის დამზადებულია 10 ტონა, აქედან სიმინდის სილოსი — 9 ტონა.

თვითეულ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 1959 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 29 ცენტნერი ხორცი.

ამხ. მაზუროვმა ილაპარაკა სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე და განაცხადა, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დასახეს ხორცის წარმოება 1960 წელს აიყვანონ 40 ცენტნერამდე ას ჰექტარზე, ანუ 35 პროცენტით მეტი, ვიდრე წელს, ხოლო რძე 170 ცენტნერამდე, ანუ 25 პროცენტით მეტი. რესპუბლიკა ვარაუდობს შვიდწლიანი გეგმა შეასრულოს ხუთ-ექვს წელიწადში და შვიდწლედის ბოლოსათვის 100 ჰექტარზე აწარმოოს 560 ცენტნერი რძე და 90 ცენტნერი ხორცი. ამისათვის დასახულია ფართო ოდენობით აწარმოოს პირუტყვის გასუქება შაქრის, კვების მრეწველობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოების ნარჩენებით.

მეურნეობებმა დაიწყეს მეღორეობაში მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვა. დასახულია მონავალ წელს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შემოიღონ ღორის შენახვა თავისუფლად გაშვებით. ეს შესაძლებელს გახდის, რომ ცხოველების მოვლისათვის მუშახელის საჭიროება შემცირდეს დაახლოებით 5-ჯერ და საღორეების იმავე ფართობზე მოთავსდეს სამ-ოთხჯერ მეტი პირუტყვი.

რესპუბლიკაში შეიქმნა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მეცხვარეობის განვითარების მხრივ. ახლა ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი არა მარტო სახორცე-სამატყლე ცხვრების, არამედ აგრეთვე ისეთი ცხვრების სულადობის გადიდებისათვის, რომლებიც იძლევიან ნახევრადნაზ მატყლსა და საქურქე ტყავს.

ვადამდე რომ შეასრულოთ შვიდწლედის დავალება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონის მხრივ, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ამოცანად ისახავს უკვე 1960 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი გადიდდეს 70 პროცენტით 1959 წელთან შედარებით. ეს მიღწეულ იქნება, უმთავრესად, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის, აგრეთვე ნათესი ფართობების გადიდების გზით.

კარტოფილი რესპუბლიკის პირობებში დიდმნიშვნელოვანი სასურსათო და საფურაჟე კულტურაა. მის ნათესებს უკავია მილიონი ჰექტარი. ამხ. მაზუროვი აღნიშნავს, რომ საჭიროა განხორციელდეს ბოსტნეულისა და კარტოფილის მოყვანის ფართო მექანიზაცია. კერძოდ, მეტად საჭიროა ახალი კარტოფილსათესი, მოსავლის ასაღები და დასატვირთავი მანქანები.

მარცვლეულისა და კარტოფილის ნათესი ფართობებისა და საერთო მოსავლის გადიდებასთან ერთად საზოგადოებრივი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის ამოცანა გადაწყდება, უმთავრესად, სიმინდის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების გზით.

გათვალისწინებულია 1960 წელს მისი ნათესები გადიდდეს თითქმის ერთიორად და აყვანილ იქნას 500 ათას ჰექტარამდე. ხორციელდება ღონისძიებანი, რათა მაქსიმალურად გაფართოვდეს მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების, მათ შორის საკვები ხანჭკოლის ნათესები.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დასახული მოსავლის მისაღებად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ინერგება მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა. ხორციელდება ღონისძიებანი მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა ფართოდ დანერგვისათვის წარმოებაში. დასახულია ამოცანა ყოველწლიურად განხორციელდეს მეავე ნიადაგების გაკირიანება 500-600 ათას ჰექტარ ფართობზე, რათა შვიდწლედის დამლევს გაკირიანებულ იქნას ძირითადად ყველა მეავე ნიადაგი. გათვალისწინებულია აგრეთვე განხორციელდეს მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესება ორ მილიონ ჰექტარ ფართობზე.

ბელორუსიის პირობებში, აღნიშნა ამხ. მაზუროვმა, ნათესი ფართობების გადიდებისა და მთელი სასოფლო-სამეურნეო საკარგულების პროდუქტიულობის ზრდის დიდი რეზერვია მელიორაცია. რესპუბლიკის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მესამედზე მეტი დაჭაობებული, ბუჩქნარით დაფარული მიწებია. გარდა ამისა, ჭარბად დატენიანებულია და მელიორაციულ სამუშაოთა განხორციელებას მოითხოვს მილიონ ჰექტარზე მეტი სახნავი მიწები.

მომხსენებელმა მთელი რიგი მაგალითებით ცხადყო მელიორაციის დიდი ეფექტიანობა და მთელი ხარჯების სწრაფი ანაზღაურების შესაძლებლობა და თქვა, რომ მიმდინარე შვიდწლედის მანძილზე ბელორუსიაში გათვალისწინებულია მოხდეს მხოლოდ 700 ათასი ჰექტარის ამოშრობა და ათვისება. ეს აშკარად არ არის საკმაო. მაგრამ ამ მოცულობის სამუშაოს შესრულებაც ფერხდება სამელიორაციო ტექნიკის ნაკლებობის გამო. სამანქანო-სამელიორაციო სადგურები რომ ახალი ტექნიკით აღჭურვოთ, ბელორუსიაში შეიძლება იმავე კაპიტალდაბანდებებით ამოვაშროთ და ავითვისოთ შვიდწლედში დასახულ მოცულობაზე ერთნახევარჯერ მეტი მიწები. ამასთან დაკავშირებით ამხ. მაზუროვი აყენებს საკითხს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ სამელიორაციო ტექნიკის წარმოებისათვის.

შვიდწლიანი გეგმით, განაგრძო მომხსენებელმა, გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის მნიშვნელოვანი გადიდება და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდა სოფლის მეურნეობაში. მაგრამ მუშაობა ამ დარგში ნელა ხორციელდება.

აღნიშნა რა ბელორუსიის სოფლებში მშენებლობის დიდი გაქანება, ამხ. მაზუროვმა თქვა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა განიხილონ სპეციალისტების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების მომზადების საკითხი სასოფლო მშენებლობისათვის, საკოლმეურნეობთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მექანიზმებით აღჭურვის საკითხი, ხოლო სსრ კავშირია სახმშენმა შექმნას ახალი, უფრო ეკონომიური ტიპური პროექტები.

შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, ბელორუსიის კომუნისტური პარტია სერიოზულ ყურადღებას აქცევს სოფლად ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში იზრდებიან და თავს იჩენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი ოსტატები, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის მოწინავე წარმომადგენლები. მეცხოველეობას ახლა ხელს ჰკიდებს ახალგაზრდობა, რომელიც აქტიურად სწავლობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ვეტერანებისაგან და სპეციალისტებისაგან.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ამბობს დასასრულ ამხ. მაზუროვი, პირობა მივცე სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ბელორუსიის ყველა კომუნისტი, ყველა მშრომელი, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, შეასრულებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს, ვადამდე შეასრულებენ შვიდწლედს წარმოების დონის მხრივ როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

მოხსენებას აკეთებს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **შ. რ. რაშიდოვი.** იგი ამბობს, რომ საბჭოთა ადამიანებს უსაზღვროდ ახარებს და აღაფრთოვანებს ჩვენი პარტიის საქმიანობის მებრძოლური ლენინური სულისკვეთება, რომელიც ღრმად, მეცნიერულად და თანმიმდევრულად წყვეტს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებს, მისი უდიდესი ორგანიზატორული გენია, მისი უნარი განუყრელ ერთიანობად შეახამოს თეორია და პრაქტიკა.

მოახსენა რა პლენუმს რესპუბლიკის მშრომელთა მუშაობის შედეგები შვიდწლედის პირველ წელს, ამხ. რაშიდოვი აცხადებს, რომ შრომის საერთო განაწილებაში უზბეკეთს წილად ხვდა საპატიო მოვალეობა — სულ უფრო მზარდი რაოდენობით უზრუნველყოს ჩვენი ქვეყანა უძვირფასესი ტექნიკური ნედლეულით — ბამბით. ბამბის მთესველებმა წელს მიიღეს ყველაზე უხვი მოსავალი ჩვენს რესპუბლიკაში მებამბეობის მთელ ისტორიაში და მიაღწიეს ძირეულ გარდატეხას ბამბისსაკრეფი მანქანების გამოყენებაში. წელს ყველა ოლქმა, თითქმის ყველა რაიონმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდმა უმრავლესობამ შეასრულეს გეგმები, და სოციალისტური ვალდებულებანი.

ამხ. რაშიდოვმა შემდეგ ილაპარაკა მოწინავე ოლქებზე, რაიონებზე, კოლმეურნეობებზე, რომლებმაც საუკეთესო მოსავალი მიიღეს. მან განაცხადა, რომ ბრიგადამ, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური შრომის გმირი შარაფათ ბარაქაევა, 88 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 60 ცენტნერი ბამბა, ხოლო კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადამ, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური შრომის გმირი,

(დასასრული მე-2 გვ.)

შეხვედრები მოსკოვში

დეკემბრის ამ სუსხიან დღეებში ყოველ დილას ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან სასტუმრო „მოსკოვიდან“, აჩქარებული ნაბიჯებით მიემართებიან წითელი მოედნისაკენ და მაცხოვრის ჭიშკრით შედიან კრემლში.

იქ მუშაობას განაგრძობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც აჯამებს პარტიისა და ხალხის ბრძოლას XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და სახავს გზებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

კრემლის სასახლის დიდ დარბაზში სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელების გვერდით არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოჩენილი წინამძღოლები და ორგანიზატორები, ჩვენი დედა-საშობლოს შრომის ადამიანები — მეშინდვრეები, მეცხოველეები, მეჭარხლეები, მეჩაიეები, მევენახეები... მათ შორის არიან სამგზის სოციალისტური შრომის გმირი **ტურსუნგულოვი,** ორგზის სოციალისტური შრომის გმირები **ოლღა დიკტანი, ალექსანდრე გიტალოვი,** სოციალისტური შრომის გმირები **ტატიანა ჩხაიძე, რაისა კოტი, ტერენტი მალცევი, იროდიონ ქანთარია,** ანა **სმირნოვა** და კოლმეურნე გლეხობის ბევრი სხვა წარმომადგენელი.

პლენუმის სხდომებს შუა, შესვენების წუთებში ისინი ერთმანეთს ხვდებიან, ეცნობიან, მეგობრულად უზიარებენ პლენუმზე მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებს. კრემლის დიდ დარბაზში წუთიერად გაცნობილნი საღამოს შესვენების საათებში კვლავ ერთმანეთს ხვდებიან სასტუმროში და განაგრძობენ საუბარს, რომელიც უაღრესად გულითად ხასიათს ატარებს.

ჩვენ მოწმენი ვიყავით არაერთი ასეთი შეხვედრისა.

22 დეკემბერს საღამოს საქართველოს მოწინავე ადამიანებმა თავისთან მიიწვიეს ცნობილი ვორონეჟელი ნოვატორი ტრაქტორისტი **ნიკოლოზ მანუკოვსკი** და მისი მომდევარი ტომსკის ოლქის ზირიანსკოეს რაიონის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მექანიზატორი **მიხეილ საქინი.**

საუბარს, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი **ალექსი ბეკაური,** წითელწყაროელი ცნობილი მექანიზატორი **გიორგი დოლიძე,** გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მიხეილ იაშვილი** და სხვები, მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარების ხასიათი ჰქონდა.

საქართველოს წარმომადგენლებმა ბევრი რამ ახალი შეიტყეს მანუკოვსკის საუბრიდან, რომელმაც ქართველ მეგობრებს უამბო თავისი ახალი თაობნობის — კოლმეურნეობაში ყველა შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გატარების შესახებ.

სოფლის მეურნეობის ნოვატორები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას

ქართველებმა მანუკოვსკი მიიწვიეს საქართველოში. მანუკოვსკიმ მადლობა გადაუხადა მიწვევისათვის და გამოთქვა სურვილი, რომ ქართველ მექანიზატორებთან მისი შეხვედრა განხორციელდეს მომავალი წლის თებერვლის შუა რიცხვებში.

23 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საღამოს სხდომის დამთავრების შემდეგ საქართველოს წარმომადგენლები სოციალისტური შრომის გმირები **ტატიანა ჩხაიძე** და **იროდიონ ქანთარია** შეხვდნენ უკრაინელ მეგობრებს — კიევის ოლქის ვასილკოვის რაიონის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს **ოლღა დიკტანს** და ჟიტომირის ოლქის ემილჩინოს რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორ მწველავს **რაისა კოტს.**

მათ შორის გაიმართა გულთბილი საუბარი. უკრაინელ მეგობრებს აინტერესებდათ საქართველოს მეჩაიეთა წარმატების ამბავი. მათ გულითადად მიულოცეს ქართველ მეჩაიეებს შვიდწლედის პირველ წელს მოპოვებული დიდი გამარჯვება.

ოლღა დიკტანი მეჭარხლეა. მიმდინარე წელს მისმა რგოლმა, რომელსაც დასაბუშავებლად მიმაგრებული ჰქონდა 12 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 633 ცენტნერი ჭარხალი, გეგმა კი 300 ცენტნერს ითვალისწინებდა. მწველავმა რაისა კოტმა მიმდინარე წელს თვითეულ ძროხაზე 11,5 თვეში მიიღო 7.682 კილოგრამი რძე. მომავალი წლისათვის მას ნაკისრი აქვს აღნიშნული ციფრი 8 ათას კილოგრამამდე აიყვანოს.

ოლღა დიკტანმა საუბარში ღიმილით შენიშნა:

— ახლა რაღა გვიშავს ტატიანას მოყვანილი ჩაი, ჩემ მიერ მოყვანილი ჭარხლისაგან დამზადებული შაქარი და რაისას მიერ მიღებული რძე გვაქვს, სუფრის გაშლაღა გვაკლია.

ასეთი საუბრები ეწყობა სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთანაც. სოფლის უბრალო ადამიანები ახლავე სახავენ გზებს და ღონისძიებებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდინარე პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, შვიდწლედის მეორე წლის ახალი ზღუდეების აღებისათვის.

ა. კოკილაშვილი,
გ. გოგიაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ვორონეჟელი ტრაქტორისტი ნიკოლოზ მანუკოვსკი, ტომსკელი ტრაქტორისტი მიხეილ საქინი და წითელწყაროელი მექანიზატორი გიორგი დოლიძე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.
ფოტო ხ. ონანოვისა. (ჩვენი სპეც. ფოტოკორესპონდენტი).

საქართველოს ეკონომიური რაიონის მრეწველოგამ შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო ხაწარმოთა კოლექტივებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვადამდე, 22 დეკემბერს, შეასრულეს საერთო პროდუქციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია ბევრი კოქსი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, ელექტროენერგია, მარგანეცი, ცემენტი და სხვა საშენი მასალები, ავტოთვითმცლელები, ავეჯი, შალის, აბრეშუმის, ბამბის ქსოვილები, ფეხსაცმელი, ჩაი, ღვინო. გასული წლის პროდუქციის შესაბამისი დონე გადაჭარბებულია 9 პროცენტით.

საქართველოს ეკონომიური რაიონის საწარმოებმა წლიური გეგმა შეასრულეს ყველა ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. გადაჭარბებით შესრულებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, დაგროვების დავალებანი. დაზოგილია ბევრი ელექტროენერგია. წლის დამლევამდე გამოშვებულ იქნება ასობით მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. (საქდისი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მშრომელთა სურვილის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა — გადმოტანილ იქნეს 1960 წელს დასვენების დღე 3 იანვრის კვირიდან 2 იანვარს შაბათს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

ამ პლენუმის მონაწილე განიშერ იუნუსოვი, ჰექტარზე მოიყვანა 60 ცენტნერი ბამბა მშიერ ველში.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულია, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, რომ უზბეკეთის სსრ კვლავაც იქნება ჩვენი ქვეყნის ბამბის ძირითადი ბაზა. რესპუბლიკის ბამბის მთესველებმა გადაწყვიტეს ერთი წლით ადრე მიაღწიონ ბამბის წარმოების დონეს, რომელიც დასახულია შვიდწლედის ბოლოსათვის.

ამხ. რაშიდოვი ახასიათებს საქმეთა მდგომარეობას სხვა დარგებში. იგი ამბობს, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს 1965 წლის დონეს მიაღწიონ აბრეშუმის პარკის წარმოებაში 1964 წელს, ხორცისა და რძის წარმოებაში — 1963 წელს, ლაფნეული კულტურების წარმოებაში — 1962 წელს, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბაღჩეული კულტურების წარმოებაში — 1962 წელს. უზბეკეთის მოწინავე კოლმეურნეობები იყენებენ ხელსაყრელ კლიმატურ პირობებსა და წყლის რესურსებს და ყოველ წელიწადს იღებენ სიმინდის, კარტოფილის, სტაფილოს, კომბოსტოსა და მთელი რიგი სხვა სასურსათო კულტურების ორ მოსავალს. უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ფართოდ გავრცელოს ამ მეურნეობათა გამოცდილება. გადაწყვეტილია, 1960 წლით დაწყებული, მიღებულ იქნას ორი მოსავალი სარწყავი მიწების ძირითად ფართობებზე, რომლებიც გამოყოფილია სიმინდის, ჯუგარიս, საადრეო ბოსტნეულის, კარტოფილის დასათესად.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია გადაჭრით ასწორებს შეცდომებს, რომლებიც წინათ დაშვებული იყო საზოგადოებრივ მეურნეობაში პირუტყვის სულადობის ზრდის ტემპების მხრივ. უკვე 1960 წელს ძროხის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდება იმ ოდენობამდე, რაც გათვალისწინებულია 1965 წლისათვის.

შ. რ. რაშიდოვის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს სოფლის მეურნეობის ტექნიკური პროგრესისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საკითხებმა. წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, განაცხადა მან, დაამტკიცეს, რომ შეიძლება მოვიყვანოთ ბამბის უხვი მოსავალი ისე, რომ არ გამოვიყენოთ კეტმენი, შრომის მთელი სიმძიმე დავაკისროთ ძლიერ მანქანებს. ფართობებზე, სადაც გამოყენებული არ ყოფილა კეტმენი, შრომის დანახარჯი ნათესთა დამუშავებაზე 4-5-ჯერ შემცირდა. დასახულია ამოცანა, რომ 1961 წელს სავსებით განვდევნოთ კეტმენი.

ამხ. რაშიდოვმა დაწვრილებით ილაპარაკა ბამბის მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის საკითხებზე. ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მექანიზატორის ვ. ტიუპკოს მაგალითისამებრ რესპუბლიკაში მუშაობდა კომპლექსური მექანიზაციის ხუთი ათასი ბრიგადა. ამ ბრიგადებმა უკვე მიაღწიეს პროდუქციის წარმოების იმ დონეს, რომელიც დასახულია რესპუბლიკაში 1965 წლისათვის. ამხ. ტიუპკომ თავის ოთხ ამხანაგთან ერთად წელს მოიყვანა 301 ტონა ბამბა — 60 ტონა თვითეულზე, ერთი ცენტნერი ნედლი ბამბის წარმოებაზე დახარჯა სულ 10 საათი, ესე იგი თვითღირებულება შეამცირა 87 მანეთამდე, რაც ორნახევარჯერ უფრო იაფია, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკაში.

მუშაობაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ამხანაგების მურზაკოვის, ჯურაევის, იუსუპოვისა და ტურაევის კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადებმა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ყოველნაირად უჭერს მხარს შრომის ორგანიზაციის ამ ახალ ფორმას, რომელიც გადამწყვეტი ძალაა იაფი ბამბის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ ამხ. რაშიდოვი ლაპარაკობს საგზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის წარმატებით მზადებაზე, იმაზე, რომ რესპუბლიკაში ორგანიზებულად მიმდინარეობს მზრალად ხვნა, სასუქის დამზადება. ჩვენ ამოცანად ვისახავთ, ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, მიმდინარე შვიდწლედში მოვრწყათ 600 ათასამდე ჰექტარი, გარდაქმნათ სარწყავი ქსელი 1 მილიონ 200 ათას ჰექტარ ფართობზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ბამბის მოსავლიანობა. იგი ამბობს, რომ უახლოეს წლებში განხორციელდება ბამბის გათვალისწინებული რაოდენობის თესლის ბუდობრივი თესვა.

დიდი ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ ამ უკანასკნელ წლებში განახორციელა სოფლის მეურნეობაში, გახდა გადამწყვეტი პირობა რესპუბლიკის კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების შემდგომი გადიდებისათვის, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის გაფართოებისათვის, მსხვილ საირიგაციო ნაგებობათა, საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურთა შექმნისათვის და სხვ.

თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. რაშიდოვმა მიუძღვნა კოლმეურნეობათა ეკონომიკის განვითარებას, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებას. იგი ლაპარაკობს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებაზე მასებში. პარტიული კომიტეტები ახლა უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად ხელმძღვანელობენ მეურნეობას, უფრო ხშირად ეთათბირებიან კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პარტიული ორგანიზაციები რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ, ორგანიზაციულად განმტკიცდნენ. ამ უკანასკნელ წლებში ერთნახევარჯერ გადიდდა სოფლის მეურნეობაში მომუშავე კომუნისტთა რიცხვი. უზბეკეთის პარტიულმა ორგანიზაციამ მცირე მუშობა როდი გასწია ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრებით განსამტკიცებლად.

უზბეკეთის პარტიული ორგანიზაცია, აცხადებს ამხ. რაშიდოვი, ითვალისწინებს, რომ მიღწეული წარმატებები დასაწყისია დიდი მუშაობისა. ჩვენ ვიბრძოდით და კვლავაც ვიბრძოლებთ ყოყოჩობის, თვითდამშვიდებისა და უდარდელობის წინააღმდეგ. ამხ. რაშიდოვი სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ უზბეკეთის პარტიული ორგანიზაცია, ყველა მშრომელი, უსაზღვროდ ერთგულნი მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების, მჭიდროდ დარაზმულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა ვადამდე შეასრულონ შვიდწლედის დავალებანი.

* * *

23 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომლის სხდომები კრემლის დიდ სასახლეში მიმდინარეობს, მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომა დაიწყო ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ტ. ულჯაბაევის** მოხსენებით. იგი ამბობს, რომ ტაჯიკეთის მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მიმდინარე წლის წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ გრანდიოზული გეგმის წარმატებით ხორციელდება. შვიდწლედი კარგად დაიწყეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მოხარული ვართ მოვახსენოთ სამშობლოს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, განაცხადა ამხ. ულჯაბაევმა, რომ ტაჯიკეთის ბამბის მთესველებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და სახელმწიფოს მიჰყიდეს 475 ათასი ტონა ნედლი ბამბა, აქედან გეგმის გადაჭარბებით 25 ათასი ტონა. ახლა რესპუბლიკაში არ არის ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ჰექტარზე 20 ცენტნერზე ნაკლებ ბამბას კრეფდეს.

მომდინარე წლის დიდმნიშვნელოვანი შედეგია ისიც, რომ ტაჯიკეთში არ არის არც ერთი რაიონი, არც ერთი საბჭოთა მეურნეობა, არც ერთი კოლმეურნეობა, არც ერთი ბრიგადა, რომლებსაც არ შეესრულებინოთ ბამბის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

ამხ. ულჯაბაევი აცხადებს, რომ რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, კრაველის, ტყავნედლეულის, კურკოვანი ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ბაღჩეული კულტურების, აბრეშუმის პარკის მიყიდვის გეგმა. ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებასთან ერთად იზრდებოდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკლე ვადაში შექმნეს მეცხოველეობის დარგი — ნაზმატყლიანი მეცხვარეობა, რაც ახალია ტაჯიკეთისათვის.

კოლმეურნეობათა ეკონომიკის განუხრელმა ზრდამ, თქვა შემდეგ ამხ. ულჯაბაევმა, შესაძლებლობა მოგვცა ფართო ოდენობით გაგვეხორციელებინა საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. უკანასკნელ ხუთ წელიწადში აშენდა 8 ათასზე მეტი სხვადასხვა საწარმოო ობიექტი, სამასამდე სკოლა, ბევრი კლუბი, კინოთეატრი, საბავშვო დაწესებულება, 50 ათასამდე საცხოვრებელი სახლი კოლმეურნეებისათვის. სოფლად მშენებლობის დიდი ღონისძიებანი დასახულია განხორციელდეს მიმდინარე შვიდწლედში. დამთავრდება ყველა კოლმეურნეობის ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია.

მომხსენებელმა ილაპარაკა სოფლის მეურნეობის კადრებით განმტკიცებაზე და თქვა, რომ ახლა ტაჯიკეთში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების პოსტებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების სახელგანთქმულ წინამძღოლებთან ერთად მუშაობს ბევრი ახალგაზრდა ენერგიული ხელმძღვანელი. უკანასკნელ ხუთ წელიწადში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიგზავნა სოფლის მეურნეობის 4 ათასზე მეტი სპეციალისტი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლთა კურსდამთავრებულები. მტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში სამუშაოდ მოვიდა დაახლოებით 10 ათასი მექანიზატორი.

ამასთან ერთად არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამხ. ულჯაბაევმა თქვა, რომ ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის პრაქტიკული ღონისძიებანი. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ 1964 წელს მიაღწიონ ბამბის, ხორცის, ხილის, ყურძნისა და აბრეშუმის პარკის წარმოების იმ დონეს, რომელიც დაწესებულია 1965 წლისათვის, რძისა და მატყლის წარმოების შვიდწლიანი გეგმა შესასრულონ 1963 წელს.

მომხსენებელმა ილაპარაკა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების გზებზე და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები იბრძოლებენ სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესებისათვის, ერთსა და იმავე ფართობზე ორი-სამი მოსავლის მიღებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის კომპლექსური მექანიზაციისათვის. სერიოზული ყურადღება ექცევა მიწის ფართობის რაციონალურ გამოყენებას, ბამბის მცენარეების უფრო სწორ განლაგებას.

დიდი ყურადღება მიექცევა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გაუმჯობესებას. დასახულია ორი წლის განმავლობაში განხორციელდეს ყველა კოლმეურნეობის გადაყვანა შრომის ფულად ანაზღაურებასა და სამეურნეო ანგარიშზე. უკვე მომავალი წლიდან მებამბეობის ყველა ბრიგადა გარდაიქმნება სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სატრაქტორო-მემანდვრეობის ბრიგადებად კომპლექსური მექანიზაციის ფართო გამოყენებით. იმ მიზნით, რომ შემცირდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის შრომისა და სახსრების დანახარჯები, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შემოღებულია ნედლი ბამბის უტარო გადაზიდვა, რაც სახსრების მნიშვნელოვან ეკონომიას მოგვცემს. გადაწყდა 1960 წელს ამ გზით გადაიზიდოს დამზადებული ბამბის სულ ცოტა 40 პროცენტი. ძლიერდება კოლმეურნეობათა დაინტერესება კოლმეურნეობისა და საბჭოთა ეკონომიკის ამაღლებით. ახლა სუმგაითში მთავრდება ჰერბიციდის საწარმო დანადგარი, რომელიც ყველაზე დიდია საბჭოთა კავშირში. ჰერბიციდი სარველა მცენარეულობის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. დანადგარის ამუშავება შესაძლებელს გახდის უზრუნველყოთ არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი სხვა რაიონების მოთხოვნილება ჰერბიციდზე.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია მებაღეობასა და მევენახეობას. გეგმის შესაბამისად აქ გათვალისწინებულია შვიდწლედში გაშენდეს 118 ათასი ჰექტარი ახალი ბაღები და ვენახები, მაშინ როცა წელს მათი ფართობი 96 ათას ჰექტარს შეადგენს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წამოაყენეს შემხვედრი წინადადებანი და იკისრეს გააშენონ ახალი ბაღები და ვენახები, რომელთა ფართობი მნიშვნელოვნად აღემატება შვიდწლედის დავალებას. სოფლის მეურნეობის ამ დარგების შემდგომი განვითარება მოითხოვს მებაღეობისა და მევენახეობის პროდუქციის მისაღები, გადასამუშავებელი და შესანახავი ბაზის განმტკიცებას.

რესპუბლიკის მშრომელები დიდხანს მწვავედ გრძნობდნენ ბოსტნეულის ნაკლებობას. მეგოსტნეობის აღმავლობის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად, 1959 წელს ბოსტნეული დამზადებული იყო ორჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე 1953 წელს. ახლა ფართოვდება ბოსტნეულის შემოდგომა-ზამთრის მოყვანა. აფშერონის ნახევარკუნძულის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ ბოსტნეული ღია გრუნტში.

მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულეს რესპუბლიკის მეაბრეშუმეებმა თუთის აბრეშუმის თეთრპარკიანი ჯიშის დანერგვაში, გამოკვების პროგრესული ხერხებისა და თუთის ნარგავების მოვლის გაუმჯობესებაში. სახელმწიფოს მიჰყიდეს 31 ათას 650 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, რაც მეტია გეგმით გათვალისწინებულზე.

მომხსენებლის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაევალებინათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის განეხილათ საკითხი კოლმეურნეობათა სახელოსნოებისათვის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად ტიპური მოწყობილობის გამოშვების ორგანიზაციის შესახებ. დასახულია სარემონტო-ტექნიკური სადგურების ნაწილი რესპუბლიკაში გადაეცეს მსხვილ კოლმეურნეობებს, ხოლო ზოგიერთი მათგანის ბაზაზე მოეწყოს ტრაქტორებისა და სხვა ტექნიკის კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოები, აგრეთვე სარაიონთაშორისო სამელიორაციო სადგურები კოლმეურნეობებში საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა წარმოებისათვის.

მომხსენებელმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების, სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების გამსხვილების, პარტიული აპარატის სრულყოფის საკითხებს. ჩვენ მიგვაჩნია, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, რომ სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მაგალითისამებრ საჭიროა კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციებში შეიქმნას, კონკრეტული პირობების მიხედვით, წარმოების განვითარებისა და სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმების შესრულებისადმი კონტროლის კომისიები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისა და კოლმეურნეობის წარმოების მექანიზაციისადმი კონტროლის კომისიები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების თვითღირებულების შემცირებისადმი კონტროლის კომისიები და სხვ.

ამხ. ახუნდოვმა სიტყვა მისცა პლენუმს, რომ აზერბაიჯანის კომუნისტები და ყველა მშრომელი არ დაიშურებენ ძალებს, რათა აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი მუშაობაში და მიაღწიონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას.

ამხ. ახუნდოვის გამოსვლის შემდეგ პლენუმზე დაიწყო კამათი მოხსენებათა გამო.

მცხეთის რაიონი. ხურათზე: ნატახტარის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი, ფერმის გამგე ე. თვალიაშვილი არტელის წევრებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გამოქვეყნებულ მასალებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

დეკემბრის პლენუმის მასალები—მასებში

ზესტაფონელ მევენახეთა სიტყვა

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალები, — აცხადებენ ზესტაფონელი კოლმეურნეები, — წინგადადგმული დიდი ნაბიჯია სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად. ახლა კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ.

სოფელ საბაწოს კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა მომავალ წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 100 ცენტნერი ყურძენი. სიმინდის მოსავლიანობა გაადიდოს 20 პროცენტით, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღოს 1.300 ლიტრი რძე. ბრიგადირმა ი. თავბერიძემ პირობა დადო ვენახის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 110 ცენტნერი ყურძენი, მერგოლურმა ქ. კვანტრიძემ — 115 ცენტნერი.

ალავერდელმა კოლმეურნეებმა პირნათლად გაანაღდეს დეკემბრის პლენუმის შესახვედრად ნაკისრი ვალდებულებანი: ახალი ვენახი გააშენეს 5 ჰექტარზე, რიგთაშორის დაამუშავეს 30 ჰექტარი ვენახი, შეიტანეს ორგანული და მინერალური სასუქები, მზრალად მოხნეს 35 ჰექტარი ფართობი. ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. კვანტრიშვილი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 130 ცენტნერი ყურძენი, ხოლო ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. კვანტრიშვილმა პირობა დადო ჰექტარზე მოიყვანოს 120 ცენტნერი ყურძენი.

ახალი შრომითი აღმავლობა

ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში. აგიტატორები ბრიგადებში კოლმეურნეებს აცნობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს. მრავალმა კოლმეურნეობამ და ბრიგადამ, რგოლმა გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი.

სოფელ ყარსუბნის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ფ. ხუციშვილი) სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა პლენუმის გახსნას. წლიური გეგმით გათვალისწინებული 294 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 305 ტონა თამბაქოს ნედლეული. ყველაზე მეტად ისახელა თავი იმ ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მეთამბაქოე ა. გოგოლაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 32 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 41 ტონა თამბაქო, ხოლო მოწინავე მეთამბაქოემ ე. ბოქაძემ 0,40 ჰექტარიდან — 1.117 კილოგრამი, გეგმა კი 560 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ახლა კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ სასახელოდ დაამთავრონ 1959 სამეურნეო წელი და უკეთესად იმუშაონ მომავალ წელს.

სასახელო მაჩვენებლებით

დუშეთი. („კომუნისტის“ კორ. ტელეფონით). რაიონის კოლმეურნეობებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნამ, რომელიც განიხილავს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების ღონისძიებებს. კოლმეურნეები გულდასმით ეცნობიან პლენუმის მასალებს.

— ჩვენი კოლმეურნეობა, — განაცხადა სოფელ შუახევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ბალხამიშვილმა, — ახალი წარმატებებით შეხვდა პლენუმის გახსნას. ვალდებულება გვქონდა ნაკისრი 22 დეკემბრისათვის შეგვესრულებინა ყველა სახის მეცხოველეობის განვითარების გეგმა. ვალდებულებით ნაკისრი 1.000 ლიტრი რძის ნაცვლად თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 1.230 ლიტრი რძე. ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე ვაწარმოეთ 45 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 30 ცენტნერისა, 330 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნაცვლად გვყავს 398 სული, გადაჭარბებით შესრულდა ღორის სულადობის გადიდების ვალდებულებაც.

კოლმეურნეობაში საგრძნობლად გაზარდა შრომადღის ღირებულება. საკმარისია ითქვას, რომ თვითეულ შრომადღეზე უკვე გაცემულია 7 კილოგრამი მარცვლეული. კარგი პირობები შეექმნით პირუტყვის სანმეშოდ გამოზამთრებისათვის. მომავალ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიეღებთ 1.300 ლიტრ რძეს, ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე წარმოებული იქნება 60 ცენტნერი ხორცი, 200 ცენტნერი რძე.

სოფელ მლაშეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ქოქრაშვილმა გვაცნობა, რომ კოლმეურნეები ახალი ძალით ებრძვიან სოციალისტურ შეჯიბრებას და იბრძვიან მორიგი წარმატებებისათვის. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გასულ წელთან შედარებით მიიღებულია 100 ლიტრით მეტი რძე, სახელმწიფოს მიეყიდეთ 470 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 460 ცენტნერისა. პირუტყვი უზრუნველყოფილია დამბუნებული ბინებით, საკვები ადგილზეა მიზიდული, გვაქვს 1.450 ტონა სილოსი.

ამ დღეებში მეცხოველეები ენერგიულად შრომობენ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მთავრდება წელი დოვლათიანი

ფერმაში პარტიული ორგანიზაციის მდივანი მოვიდა, მწველავები შეგვკრიფა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებებზე გველაპარაკა.— ჩაებით სოციალისტურ შეჯიბრებაში, აიღეთ ვალდებულება, — გვითხრა ვან. ერთი ჩვენგანი ფეხზე წამოდგა და თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ათას ხუთასი ლიტრი რძის მაღება იკისრა.

— ოჰო! ადარ ხუმრობ, მოხუცო. მაგდენს თვითეულ ძროხაზე მოელი, თუ ყველასაგან ერთად, — შეეხმიანენ თანამოსაქმენი.

ეს დიდი ხნის კი არა, ახლო წარსულის ამბავია. სულ სხვაა შვიდწლედის პირველი წელი. იგი უხვია, დოვლათიანი. ეს სიბეჯითის შედეგია. წელს ჩვენი ძროხები დეკემბერშიაც იმდენსავე იწველიან, რამდენაც მაისში. იწველიან იმიტომ, რომ საკვები სხვადასხვა სახის და საკმარისად ეძლევათ.

გაწეული შრომა დაფასდა. თერმეტ თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 3.597 ლიტრი რძე მივიღე. ეს 1957 წლის ამავე პერიოდში მოწველილს 1.085 ლიტრით აღემატება.

მიღწეული ცოტა არ არის, მაგრამ არც ზღვარია. ჩვენზე პარტიის ზრუნვას ახალი შრომითი თავდადებით ვუპასუხებ. მომავალ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე სულ ცოტა ოთხი ათას ლიტრ რძეს მივიღებ.

იოსებ ნასრაშვილი,
წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის № 2 ბრიგადის მწველავი.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის V ყრილობა

23 დეკემბერს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის V ყრილობა.

დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების ბევრი წარმომადგენელი, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეები, საპატიო სტუმრები.

ყრილობა გახსნა არქიტექტორთა კავშირის უხუცესმა წევრმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ნ. ჩუბინაშვილმა.

აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები: საქმიანი პრეზიდიუმი, სამანდატო კომისია, სარედაქციო კომისია, სამდივნო.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის საანგარიშო მოხსენება გააკეთა მისი გამგეობის თავმჯდომარემ ა. ა. თევზაძეს.

მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ მ. ი. გულუამ.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები გ. ი. ქადაგიძე და ი. ს. დოლიძე.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქმესი).

პარტიულ კონფერენციებზე

ტექნიკური პროგრესით ზღუდიდან ზღუდეზე

იმ ღირსსახსოვარ დღეებში, შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება რომ გაჩაღდა, ქუთაისის მშრომელებმა აწონ-დაწონეს, გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და პროდუქციის გამოშვების 1959 წლის გეგმის ვადამდე, 15 დეკემბრისათვის შესრულება იკისრეს.

ამას მოჰყვა ახალი პატრიოტული წამოწყება — ქუთაისელი ავტომობილმშენებლები შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შექმნის ინიციატორებად გამოვიდნენ, იკისრეს შვიდწლედის ფონდში შეეტანათ 7 მილიონი მანეთი.

სასიხარულოა, რომ ეს ინგარიში სწორი გამოდგა, დაპირებამ ხორცი შეისხა, ისიც დათქმულ ვადამდე.

ქალაქის საწარმოებმა ნაკისრ ვალდებულებაზე ერთი დღით ადრე, 14 დეკემბრისათვის გაკეთებით შესრულეს საერთო პროდუქციის გეგმა. 1959 წლის სახელმწიფო გეგმა. საწარმოთა კოლექტივები წლის ბოლომდე გამოუშვებენ სულ მცირე 60 მილიონი მანეთის ზეგეგმითა პროდუქციას.

სიტყვა არ გატეხეს დიდი წამოწყების ინიციატორებმა. მთელი წლისათვის ნაკისრი 7 მილიონი მანეთის ნაცვლად უკვე 11 თვეში ავტომობილმშენებლებმა შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდში შეიტანეს 8 მილიონამდე მანეთი.

მრეწველობის მუშაობის ეს მრავალმეტყველი ციფრები, საქალაქო მეურნეობისა და კულტურის დარგში ამ ერთ წელიწადში ოპოვებული მიჯვნებლები ალაპარაკდა XXIII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

— ეს წარმატებები, — აღნიშნა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის ქალაქკომის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ტაკიძემ, — იმის შედეგია, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაციები მტკიცედ უდგანან სათავეში მშრომელთა სულ უფრო მზარდ აქტივობასა და ინიციატივას, რაზმავენ ძალებს პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ქუთაისის საწარმოებმა მოკლე ხანში პირველი ნაბიჯები გადადგეს წინ ტექნიკური პროგრესის გზაზე. საავტომობილო ქარხანას შეეძლო ავტომატური და ნახევრადავტომატური ნაკადური ხაზები, ავტომატური ჩარხები, ეძლიერი წნეხები, აბრეშუმკომბინატში დაიდგა 100 ავტომატური საქსოვი დაზგა, განსორციელდა ძველი დაზგებისა და დანადგარების მოდერნიზაცია. მაუდის ფაბრიკაში მოქმედი დაზგების 80 პროცენტი ახალი ავტომატური დაზგებით შეიცვალა.

ტექნიკური პროგრესით, შრომის მოწინავე მეთოდებით შვიდწლედის ზღუდეების ალებაში შესანიშნავი შრომითი მამაცობის მაგალითებს იძლევიან გაგანოველები, კომუნისტური შრომის ბრიგადები, ამ საპატიო სახელისათვის მებრძოლი კოლექტივები.

მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის განხორციელების ხელმძღვანელობისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტთან შეიქმნა მუდმივი კომისია, რომელიც დახმარებას უწევს საძრეწველო საწარმოებში შექმნილ სათანადო კომისიებს. წელს ქუთაისში გაიხსნა ტექნიკის სახლი, გაიმართა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა, აგრეთვე გაგანოველთა საქალაქო შეკრებები.

წარმატებები უდავოა. მაგრამ ქუთაისელ კომუნისტებს კარგად ესმით, რომ ამ წარმატებებით დატკბობა ახალი დიდი ამოცანების შეუფასებლობა იქნება. მით უფრო, რომ, როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, მრეწველობისადმი ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. ქალაქის 56 სამრეწველო საწარმოდან 11 თვის სახელმწიფო გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყო ოთხმა საწარმომ. ჩამორჩენილთა შორის არიან მსხვილი საწარმოებიც — ლიტოპონისა და საკონსერვო ქარხნები, № 4 სამშენებლო ტრესტისა და „გელათშაბტმშენის“ დამხმარე საწარმოები, რომლებმაც განელილ პერიოდში სახელმწიფოს ოთხ მილიონამდე მანეთის პროდუქცია დააკლეს.

მთელი წლის მანძილზე დიდი შეფერხებებით მუშაობს ქიმიური მრეწველობის წამყვანი საწარმო — ლიტოპონის ქარხანა. აქ ვერ იქნა და ვერ გადალახეს სიძნელეები ნედლეულითა და მასალებით მომარაგების საქმეში. ამასთან ერთად ქარხნის რეკონსტრუქცია, ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების სამუშაოები. ქარხანამ 11 თვის დავალება მხოლოდ 97,9 პროცენტით შეასრულა.

მომხსენებელმა და გამოსულმა ორატორებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება იმაზე, რომ ბევრი საწარმოს ხელმძღვანელები გატაცებულია პროდუქციის გამოშვების საერთო ფულადი მაჩვენებლის ესესრულებით და უკანასკნელზე აყენებს მეტად დიდმნიშვნელოვან მხარეს — სახელმწიფო გეგმების დაწესებული ნომენკლატურითა და ასორტიმენტით შესრულებას. ამ მხრივ გაკრიტიკებულ იქნენ საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნების, მაუდის ფაბრიკისა და სამრეწველო კომბინატის საწარმოები ხელმძღვანელები.

კონფერენციის ყურადღების ცენტრში იდგა შემდგომი ტექნიკური პროგრესისა და ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისების დარგში ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანები. აღინიშნა, რომ ელექტრომექანიკურ ქარხანას მომდინარე წლის მეოთხე კვარტალში უნდა დაეწყო ნავთობის და გაზის მრეწველობისათვის ელექტროძრავებისა და ელექტრობურღების გამოშვება. მაგრამ იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ დროულად არ უზრუნველყო ქარხანა საჭირო მოწყობილობით, ხოლო. მეორე მხრივ, ადგილზე დაუშვებლად გაჭიანურეს სავამოცდო საამქროს მშენებლობა, ვერ უზრუნველყვეს ამ საპატიო დავალების შესრულება. ქარხანაში ბევრი შრომატევადი სამუშაო ხელით სრულდება, დღემდე არ დუმთავრებიათ სამსხმელო კონვეიერის მონტაჟი, არ მოუწყვიათ ნაკადური ხაზები.

კონფერენციის დელეგატებმა ბევრი წინადადება წამოაყენეს საწარმოთა გამართული, რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ხელშემშლელი მიზეზების აღმოსაფხვრელად, ტექნიკური პროგრესის ტემპების დასაჩქარებლად.

საყურადღებო იყო ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორის ამხ. შ. კიკნაძის გამოსვლა.

— ქართული ავტომობილის მშენებლები, — თქვა მან, — სულ უფრო ბეჯითად, გულმოდგინედ ეუფლებიან ავტომობილის რთული კვანძებისა და დეტალების დამზადების ტექნოლოგიას, სრულყოფენ კონსტრუქციას, ქმნიან ახალი ნიმუშის სატვირთო ავტომანქანებს. „კაზ-605“ და საწვავი „კაზ-606“, რომელთა საცდელმა ნიმუშებმა წარმატებით გაიარეს გამოცდა, ქარხნის ძირითადი პროდუქცია იქნება შვიდწლედში. მომავალი წლიდან დაიწყება მცირეგაბარიტიანი სამაგალითო-სპორტული ტრაქტორის, „რიონის“ სერიული წარმოება. შემდეგ ორატორმა ილაპარაკა შვიდწლედის ფონდის შესაქმნელად გაწეულ მუშაობაზე, ნოვატორთა და რაციონალიზატორთა რიგების განუხრელ ზრდაზე. აღნიშნა, რომ ქარხნის ყოველი მესამე მუშა რაციონალიზატორია.

ამხ. კიკნაძემ პრეტენზიები წაუყენა № 4 სამშენებლო ტრესტის მშენებლებს, რომელთა ძიზეზით დაირღვა ჭედადი თუჯის სამჭედლოს საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები, დაუშვებლად გაჭიანურდა სამეწყინო-სარეკლამო საამქროს ახალი კორპუსის მშენებლობა.

კონფერენციის დელეგატმა, ამავე ქარხნის ძრავების საამქროს მუშამ ამხ. ე. კოხრიძემ სამართლიანად მიუთითა იმაზე, რომ თუმცა ავტომანქანებს გამოშვების გეგმა გადამეტებით სრულდება, საწარმო ჩამორჩება სათადარიგო ნაწილებისა და ძრავების გამოშვებაში. მან ხაზი „გაუსვა აგრეთვე იმ მდგომარეობას, რომ დღემდე სჭირო ყურადღება არ ექცევა ქართულ ენაზე ტექნიკური ლიტერატურის გამოცემას. ამ საქმის მოგვარება კი დიდ დახმარებას გაუწევდა მუშებსა და სპეციალისტებს, ხელს შეუწყობდა ტექნიკურ პროგრესს.

აბრეშუმკომბინატის მქსოველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ე. ჯიმშელეიშვილმა თქვა:

— ამ რამდენიმე წლის წინათ, მთელ კომბინატში ოთხდაზგიანან მქსოველად მარტოოდენ მე ვითვლებოდი, ახლა კი თითქმის ყველა ჩემი თანამოსაქმე ოთხდაზგიანია. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, თუ როგორ ამაღლდა ჩვენი მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე. კომბინატის № 1 საქსოვმა საწარმომ თერთმეტ თვეში გეგმის გადამეტებით 98.000 მეტრ ქსოვილი გამოუშვა. ამაში არის ჩვენი ბრიგადის წვლილიც. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გადავწყვეტეთ არ შევჩერდეთ მიღწეულ ზღუდეზე. სიტყვას ვაძლევ პარტიულ კონფერენციას, რომ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის იანვრის დავალებას 160 პროცენტით გავასრულებთ, გეგმის ზევით მივცემთ სამშობლოს 700 მეტრ აბრეშუმის ქსოვილს.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ქუთაისში არასოდეს ასე ფართოდ არ ყოფილა გაშლილი სამრეწველო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობა. . მაგრამ მიუხედავად ამისა, მშენებლები მაინც ვალში რჩებიან. განსაკუთრებით სამარცხვინოა, რომ გასულელ 11 თვეში ქალაქის არც ერთ სამშენებლო ორგანიზაციას არ შეუსრულებია საბინაო მშენებლობის გეგმა, ირღვევა ბინებისა და სხვა ობიექტების ექსპლუატაციოდ გადაცემის ვადები.

მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის იდეოლოგიური მუშაობის, სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვის, მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისა საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. შ. კობახიძემ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ჩხობაძემ, № 4 სამშენებლო ტრესტის მმართველმა ამხ. ო. ბებილეიშვილმა, ლიტოპონის ქარხნის დირექტორმა ამხ. გ. ძიმისტარაშვილმა, საქალაქო გაზეთი „სტალინელის“ რედაქტორმა ამხ. გ. მეფისაშვილმა, „ქუთაისვაჭრობის“ დირექტორმა ამხ. ვ. იობიძემ, მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა ამხ. ა ოსეფაიშვილმა, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანმა ამხ. დ. კვიციარიძემ, პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიბიუროს მდივანმა ამხ. ვ. ირემაძემ და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ქადაგიძემ.

* * *

გაიმართა ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ე. ტაკიძე, მეორე მდივნად — ამხ. შ. კობახიძე, მდივნად — ამხ. ს. ფხაკაძე.

შ. ჯავახაძე.

მეგობრები ხვდებიან 25 წლის შემდეგ

ხიხარული და გამოცოცხლება სუფევდა იმ დღეს თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა სახლში. მოდიოდნენ ამხანაგები, ეხვეოდნენ ერთმანეთს, ჰკოცნიდნენ, იცინოდნენ... ბევრი მათგანის მკერდს ამშვენებდა მთავრობის მაღალი ჯილდოები, დეპუტატის ნიშანი; გამქრალიყო მოკრძალება თანამდებობის, რანგისა და წოდების მიმართ. იყო უბრალო ამხანაგური, სტუდენტური შეხვედრა.

25 წლის შემდეგ ხვდებოდნენ ერთმანეთს თანაკურსელები. ზოგიერთ მათგანს ვეღარ სცნობდნენ. ოცდახუთი წლის წინათ სტუდენტი დღეს დარბაისელი გამხდარიყო, ზოგს სათვალე დასჭირვებია, გაჭაღარავებულა. ზოგიერთის გამოსაცნობად მაშინდელი მეტი სახელის გახსენება გახდა საჭირო.

25 წლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს თბილისის სამედიცინო სახელმწიფო ინსტიტუტის 1934 წელს კურსდამთავრებულები. 25 წელი ადამიანის ჯანრთელობის სადარაჯოზე მცირე დრო როდია. ბევრმა მათგანმა ომშობლოს უანგარო სამსახურით ხალხის ნდობა და სიყვარული მოიპოვა. თანაკურსელთაგან 9 ექიმს სამეცნიერო ხარისხი აქვს მიღებული. მათ რიცხვში არიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები ა. კუტუბიძე, ალ. მაკარიძე, ელ. წვერავა და სხვანი.

თანაკურსელთა უმრავლესობა სამამულო ომის მონაწილეა. ბევრი ამხანაგი გმირულად შეეწირა საყვარელ სამშობლოს. ამხანაგების ჯარი გარს რომ შემორტყმია და მოგონებათა ნაკადს ზღვარი არა აქვს, ექიმი კლარა ხოჭოლავაა. იგი თავისი სურვილით წავიდა ჯერ კიდევ ფინეთის კამპანიაში მონაწილეობის მიღებად, მერე კი მთელი სამამულო ომის მანძილზე მამაცურად დარაჯობდა მებრძოლთა სიცოცხლეს. მისმა ხელებმა ბევრი ვაჟკაცი გამოგლიჯა სიკვდილს, დაუბრუნა დედას, ოჯახს, სამშობლოს, მის მკერდს ამშვენებს სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენები, წითელი ვარსკვლავის ორდენი, 5 medaლი. დღეს კლარა ხოჭოლავა კვლავ სახელოვნად ასრულებს ექიმის საპატიო მოვალეობას. აქვე არიან სახელმძღვანელი ექიმები ვ. კეშელავა, ბ. სალაყაია, ნ. მაღნარაძე, ი. რაზიკაშვილი, ა. ჩიქობავა, მ. კუჭაიძე, თ. ვახტანგიშვილი, ქ. ფიცხელაური...

მოზეიმე თანაკურსელთა რიგებში ბევრი დამსახურებული ექიმია, რომელთა უმრავლესობა ჩვენი რესპუბლიკების რაიონებსა და სოფლებში მუშაობენ, ზოგიც საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობს.

1934 წელს კურსდამთავრებულებმა სასახელოდ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, არ შეურცხვენიათ პროფესია, საყვარელი აღმზრდელები. ამიტომაც ასეთი საზეიმო სახე მიიღო ამ შეხვედრამ.

თანაკურსელთა შეხვედრა გახსნა პროფესორმა ა. კუტუბიძემ, მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი გ. ქობულია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელით შეკრების მონაწილეთ მიესალმა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ჭურციკაშვილი.

თავისი აღზრდილებისადმი გულთბილი სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსები კ. ერისთავი, ა. ზურაბაშვილი, პროფესორები ვ. ვარახი, გ. ცქიმანაური.

სტუდენტური ხანის მოგონებებით ერთმანეთს ცვლიან თანაკურსელები მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ალ. მაკარიძე, დოცენტი ალ. ჩუბინიძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. სვანი და სხვები.

25 წლის შემდეგ თანაკურსელთა შეხვედრა ნამდვილ ზეიმად იქცა. საღამოს შემდეგ ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ ოჯახებში, უხიარებდნენ ერთმანეთს ახრებს, იგონებდნენ სტუდენტურ ხანას და აცნობდნენ მომავლის გეგმებს. უანგაროდ ვემსახუროთ კომუნიზმის მშენებელი ხალხის ჯანმრთელობის საქმეს, — ამ დეკიზით ჩატარდა ეს საამსოვარო შეკრება.

მ. სარიშვილი.

პატარეგის გარჯა

— **მოვიდნენ** ჩვენი მარგალიტები, — იტყოდნენ ხოლმე კოლმეურნეები, როცა მოსწავლეები ზაფხულობით მინდორს შეესეოდნენ და ყეფილ-ხიყვილით აავსებდნენ მიდამოს. შრომით დაღლილ კაცს წამოეშველებოდნენ, ისიც სიყრმეს დაულოცავდა...

შრომა ქარელის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნამდვილ მოთხოვნილებად იქცა. ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების მიზნით სკოლის დირექციამ (დირექტორი ი. ბუზალაძე) ბევრი რამ გააკეთა. შეიქმნა სახეინკლო და სადურგლო სახელოსნო, სადაც მოსწავლეები სწავლობენ სასოფლო-სამეურნეო და სხვა იარაღების დეტალების გაჩარხვას. აქვე ამზადებენ სკოლისათვის საჭირო ინვენტარს.

ფიზიკის, ქიმიის კაბინეტები, რომლებიც წელს 8.000 მანეთის ხელსაწყოებით გამდიდრდა, მოსწავლეთა საყვარელი ადგილია, აქ ისინი იძენენ პრაქტიკულ ჩვევებს. სკოლაში არის ხმოვანი კინოაპარატი, რადიოკვანძი, რომელსაც მოსწავლეები თვითონ მართავენ.

პიონერებიც არ ისვენებენ. პიონერთა ოთახში ყოველდღე საქმიანი ფუსფუსია. მოაქვთ ყვავილები, ზრდიან მტრედებს, კურდღლებს, პატარა დიასახლისები ასუფთავებენ სკოლას, აწკრიალებენ საკლასო ოთახებს, დერეფნებს, ფანჯრებს. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ც. თოთლაძემ, ზ. კაბულაშვილმა, ა. პავლაძემ, ა. ბაბლიძემ, ბ. სულაქვერიძემ, მ. და ო. ეკალაძეებმა, დ. ტაბატაძემ, ბ. სოლოლაშვილმა, ჟ. გოგიჩაშვილმა. მოსწავლეთა თვითმმართველობაზე გადასვლის შედეგად შემცირდა დამლაგებლების შტატი და სახელმწიფოს 2.500 მანეთი დაეზოგა.

მოსწავლეები მეტ ინტერესს მაინც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისადმი იჩენენ. ნორჩი ნატურალისტები სათუთად უვლიან საცდელ ნაკვეთს და ყოველწლიურად უხვ მოსავალს იღებენ. ამისათვის ისინი არაერთხელ დაჯილდოდნენ ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური გამოფენის სიგელებით. წელს საცდელი ნაკვეთიდან სკოლამ 20 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო. მოსწავლეთა შრომის საფასური სკოლის კეთილმოწყობას მოხმარდა. სკოლის ეზოში გამოყვანილ იქნა სასმელი წყალი, მოკლე ხანში სახელოსნოებს შეემატება 3.000 მანეთის ხელსაწყო-იარაღები, ხელგარჯილობის კაბინეტს დაამშვენებს საკერავი მანქანა, შეიძენენ „დტ-14“ მარკის სასწავლო ტრაქტორს და სხვ.

წელს სკოლაში სპეციალურად შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ბრიგადა კოლმეურნეობის დასახმარებლად. ბრიგადამ, რომელშიც 55 ბავშვი გაერთიანდა, ხელისით მოჰკიდა ხელი საქმეს. გამრჯე ახალგაზრდებს კოლმეურნეობამ 21 ჰექტარი ფართობი მიაბოლოა.

ქარელელმა მოსწავლეებმა კარგად მოუარეს სიმინდის ნათესებს და მოსავალიც კარგი მოიყვანეს. ჰექტარზე მიღებულ იქნა 22 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 15 ცენტნერისა. გარდა ამისა, ამოიღეს 20 ტონა ჩაჩის ჭარხალი, ამასთან დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობას 50 ჰექტარი სიმინდის აღებაში, ხოლო რუისის მეჯარხლეობის საბჭოთა მეურნეობას შაქრის ჭარხლის ამოღებაში.

მოსწავლეთა გარჯით ყველა ამაყოფილია — სკოლა, მშობლები, კოლმეურნეობა. თავიანთი გარჯით მოსწავლეებს გარკვეული წვლილი შეეტანთ საკოლმეურნეო დოვლათის შექმნაში. ამიტომ არის, რომ კოლმეურნეობაში მათ შრომადღეების საღრიცხვო ბარათებიც კი გაუხსნეს. მალე მოსწავლეები შრომის საზღაურსაც მიიღებენ.

ასე იწრთობიან სწავლასა და შრომაში ქარელის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

მ. ინასარიძე.

მკითხველები გვატყობინებენ

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საფაბრიკო კომიტეტმა მოაწყო საწარმოო ექსკურსია თბილისში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომბინატში მოუშავე 30 მოწინავე ქალი. ვეწვიეთ თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკას, აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას, სადაც გავეცანით მათი მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, დავათვალიერეთ თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

თ. ბენიძე.

ვანის რაიონული ცენტრი სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება. წელს აქ დაგებულ იქნა 3.150 კვადრატული მეტრი ასფალტი, მოეწყო სტენდები და საპატიო დიფა, საექსპლოატაციოდ გადაეცა საკონსერვო ქარხანა და საზეიმოულო კინოთეატრი, გაფართოვდა ღვინის ქარხანა. რაიონულ ცენტრში გაიხსნა ავტოსატრანსპორტო კანტორა, რომლის განკარგულებაშია 18 მანქანა — ტაქსი, ავტობუსი და სხვ.

შ. გიორგაძე.

ჩხოროწყუს მშრომელებმა ამ დღეებში კიდევ ერთი ახალი სანუქარი მიიღეს. მწყობრში ჩადგა კინოთეატრის ახალი შენობა, რომლის დარბაზი 450 მაყურებელს იტევს. შენობას აქვს გასასდელი ოთახები, ოთახები საწრეო მუშაობისათვის, კეთილმოწყობილი ფოიე. ამჟამად მიმდინარეობს კინოთეატრის ეზოს კეთილმოწყობა.

რ. ძერია.

...თავს კი ინუგეშებენ

„კომუნისტის“ რეიდი

როცა შვიდწლედის პირველი წელი იწყებოდა, წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს შეროზიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. კვარაცხელიამ კოლმეურნეთა სახელით საჯაროდ იკისრა — ვადაზე ერთი თვით ადრე გაენაღდებინა პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გეგმები. ამას წინათ რაიონში მოწყობილი რეიდის მონაწილეებს, რომელშიც 150 კაცი იღებდა მონაწილეობას, ეგონათ, რომ აღნიშნული კოლმეურნეობის სიტყვა და საქმე ერთი იქნებოდა. სამწუხაროდ, იმედები არ გამართლდა.

კოლმეურნეობის გამგეობა მხოლოდ წლის უკანასკნელ თვეს დაფაცურდა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. ასეთმა „მოფიქრებულმა“ მუშაობამ კოლმეურნეობა საგალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 565 ლიტრი რძე. ეს იმიტომ, რომ კოლმეურნეობაში ნაკლები ყურადღება ექცევა ძროხების ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას. ხშირია ძროხების ბერწიანობა.

პირუტყვი უზრუნველყოფილი არ არის საკვებით, აკლიათ 154 ცენტნერი თივა და ჩალა. რაც შეგროვებული აქვთ, ისიც პირუტყვის სადგომებამდე არა აქვთ მიზიდული.

კოლმეურნეობაში არც მეღორეობას ექცევა სათანადო ყურადღება. საღორე მეტად პრიმიტიული და უვარგისი ოქვთ, თვითეულ დედაღორზე მხოლოდ 6,6 გოჭი მიიღეს. სამარცხვინოდ გამოიყურება მეფრინველეობა. თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე 70 კვერცხის ნაცვლად 11 თვეში მიღებულია მხოლოდ 26 კვერცხი.

ზამთარს მოუმზადებელს შეხვდნენ ჯვარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. მანია). აქ ბაგურ კვებაზე მყოფი საქონლის ბოსელი არ არის შემოკავებული, მისასვლელი გზები კეთილმოუწყობელია. მოუვლელობის შედეგად არის პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები. მიმდინარე წელს მოკვდა 27 სული მსხვილფეხა საქონელი, მათ შორის 2 ძროხა, 45 ღორი, 35 ცხვარი და 242 ფრთა ფრინველი.

მეწველ ძროხებს საკმაო რაოდენობით არ ეძლევათ საკვები, რის გამო წველადობამ შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად იკლო. თვითეულ საფურაქე ძროხაზე ვალდებულებით ნაკისრი 1.100 ლიტრის ნაცვლად 11 თვეში მიღებულია 640 ლიტრი რძე.

ქვარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 94 საფურაქე ძროხაზე წელს მიიღეს მხოლოდ 41 ხბო, ანუ 28 ხბოთი ნაკლები, ვიდრე გასულ წელს.

პირუტყვის ცუდი მოვლა-კვების შედეგად აქ შარშანდელთან შედარებით წველადობამ 71 ლიტრით იკლო. კოლმეურნეობაში 82 ღორის ნაცვლად ჰყავთ 48 ღორი. თითო დედაღორზე 15 გოჭის ნაცვლად მიიღეს მხოლოდ 8 გოჭი. მიღებული 192 გოჭიდან მოუვლელობით მოკვდა 68.

შარშანდელთან შედარებით წველადობაში სამარცხვინოდ ჩამორჩენიან და პირუტყვის გამოზამთრებისათვის ცუდად მოემზადნენ წალენჯიხის ლენინის სახელობის და მარქსის სახელობის, ნაკიფუს სტალინის სახელობის, საჩინოს ტელმანის სახელობის, მიქავას სახელობის, მუყავას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაივიწყეს უბრალო ჭეშმარიტება, რომ პირუტყვის სულადობის ზრდა, მისი პროდუქტიულობის შემდგომი გადიდება დიდად არის დამოკიდებული სანიმუშოდ გამოზამთრებაზე.

რაიონის 21 კოლმეურნეობიდან საკვების წინასწარ შემზადება სულ რამდენიმე კოლმეურნეობაში ხდება. ცხადია, ეს გარემოებაც იწვევს უხეში საკვების გადახარჯვას, ადგილი აქვს დანაკარგებს და საკვების ყაირათიანობაც დაბალია. ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია დაბალ დონეზეა.

რაიონში ჩამორჩენილი კოლმეურნეობები დაბლა სწევენ საერთო მაჩვენებლებს. 1 დეკემბრამდე რაიონში სამუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 744 კილოგრამი რძე.

პარტიის წალენჯიხის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებს საჯაროდ უნდა ვუთხრათ, რომ ასეთი მუშაობით ვერ გავზრდით ვერც პირუტყვის სულადობას, ვერც მის პროდუქტიულობას.

რეიდის მონაწილეთა დავალებით: ბ. ლემონჯავა — სოფელ მუყავას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **ვ. შელია** — ლიის ვეტერინარის გამგე, **ლ. ფიფია** — სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, **ბ. ჩანგელია**—ჯგალის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირი, **პ. გერგედავა** — ფახულანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **ი. კვარაცხელია** — ჯგალის საშუალო სკოლის მასწავლებელი, **ვ. არდია** — ხაჩინოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, **ვ. გელქანია** — რაიონის განათლების განყოფილების გამგე, **დ. აძუბარდია** — ჯვარის დაცურების რეიდის კანტორის მუშა, **ტ. გერგედავა** — რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე, **ბ. ნოდია** —„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ფაქიზად, მონდომებით აწყობს ყუთებში აჭარის ბაღების ოქროსფერ ნაყოფს ეს ახალგაზრდა ქალიშვილი. ყურადღებით შეფუთული ციტრუსები ადვილად იტანენ ძლიერ ყინვასაც, რომელიც მათ ხშირად შეხვდებათ ხოლმე საბჭოთა კავშირის შორეულ მხარეებში გადაზიდვის დროს. ეს კარგად იცის ამ ქალიშვილმა, და ამიტომაც სათუთად არჩევს, აწყობს და ფუთავს ქართულ ლიმონსა და მანდარინს. ნაყოფიერად შრომობს ფ. ჭყონია ქობულეთის რაიონის ჩაქვის ციტრუსების შემფუთავ ქარხანაში. 25 ყუთის ნაცვლად იგი 50-60 ყუთი მანდარინის შეფუთვას ახერხებს დღეში.

კეთილშობილურ შრომასთან ერთად კომკავშირელი ქალიშვილი დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მცენარეთა დაცვის ფაკულტეტის მეხუთე კურსზე.

სურათზე: ფ. ჭყონია.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



ტყიბული. ძევრის ხეობა.

...ოთხიც საშენი მასალაა

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებმა წარმოებას მუშაკებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით საყურადღებო ცდები მოაწყეს მშენებლობაში თუჯის გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად. ცდები წარმატებით დაგვირგვინდა, თხევადი თუჯისგან მიღებულია მეტად მოქნილი, ელასტიკური თუჯის სახურავი ფილები. ასეთი ფილების სისქე რკინის ფურცლების სისქეს არ აღემატება.

არამყიფე, ელასტიკური, უძანგავი თუჯის სახურავი ფილების გამოყენება მშენებლობაზე დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. რკინის ფურცლები ძვირია, 2-3 წელიწადში ერთხელ მოითხოვს შეღებვას, ე. ი. საექსპლოატაციო ხარჯებს, თუჯის სახურავი ფილა არ იჟანგება, ასეთი ხარჯების გაწევაც საჭირო არ არის. ასბესტ-ცემენტის ფილებისა და ფურცლების დასამზადებლად საჭიროა დიდძალი ცემენტი და სხვა დეფიციტური საშენი მასალები, თუჯის სახურავი ფილების გამოყენებით ასეულ ტონობით ცემენტი დაიზოგება. თუჯის სახურავი ფილები გაცილებით მსუბუქია, ვიდრე კრამიტი და ცემენტის ფილები, ეს საშუალებას გვაძლევს ზევამაცროთ სახურავის ტვირთის მზიდავი კონსტრუქციული ელემენტების, კერძოდ ნივნივების ზომები, ამავე დროს დავზოგოთ ხე-ტყის მასალაც.

ასეთი დიდი სარგებლობის მიუხედავად წლების მანძილზე გადაუჭრელია თუჯის სახურავი ფილების წარმოების ათვისების საკითხი. ნუთუ ეს ასე ძნელი საქმეა? რასაკვირველია, არა. მაშ დავამზადოთ თუჯის სახურავი ფილები. მშენებლობებზე მოუთმენლად ელიან ამ ძვირფას საშენ მასალას.

ინჟინერი მ. ნაციაშვილი.

ქართული ხელოვნების საღამოები მოსკოვში

კრემლის თეატრში მიმდინარეობს მოკავშირე რესპუბლიკების სოლისტების და მხატვრული კოლექტივების გასტროლები. ამასწინათ მოსკოველი მაყურებლის წინაშე თავიანთი ერთგვარი ანგარიშით წარსდგნენ საქართველოს სსრ ხელოვნების მუშაკები.

საქართველოს სახელმწიფო ტრიომ რ. ასტახიშვილის (ფორტეპიანო), გ. ოქროპირიძის (ვიოლონი) და ი. ჭეიშვილის (ვიოლონჩელი) შემადგენლობით შეასრულა შავერზაშვილის, ბაქრაძის, ჩაიკოვსკისა და რახმანინოვის მუსიკალური ნაწარმოებები. მათ მაყურებელი ერთხულოვანი მოწონებით შეხვდა. მოწონება ხვდა აგრეთვე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს, რესპუბლიკის სახალხო არ

იწონებენ კინოფილმს „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“

რომი, 23 დეკემბერი. (საკადესი). გუშინ საღამოს სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ხ. პ. კოზირევმა მოაწყო გასინჯვა საბჭოთა ფერადი დოკუმენტალური ფილმისა „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“.

გასინჯვას, რომელიც მოეწყო რომის ერთ-ერთ უდიდეს კინოთეატრ „სუპერჩინემაში“, დაესწრო იტალიის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი: პარლამენტის წევრები, სხვადასხვა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მონაწილენი, „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების წევრები, აგრეთვე უცხოთის საელჩოებისა და მისიების მეთაურები და თანამშრომლები.

* * *

კაირო, 22 დეკემბერი. (საკადესი). კაიროს კინოთეატრ „ოდეონში“ საბჭოთა საელჩომ მოაწყო გასინჯვა კინოფილმისა „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“. გასინჯვას დაესწრო დაახლოებით 800 კაცი, მათ შორის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობისა და ეგვიპტის რაიონის მინისტრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები. არაბთა ქვეყნების ლიგის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოს მუდმივი სამდივნოს წარმომადგენლები, საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები.

მაკმილანი კმაყოფილია

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკადესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი, რომელიც მონაწილეობა იღებდა დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა პარიზის თათბირში, გუშინ ლონდონში დაბრუნდა. მასთან ერთად ჩამოვიდა აგრეთვე ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი.

მაკმილანმა აეროდრომზე გააკეთა მოკლე განცხადება და კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ მიღებულია გადაწყვეტილება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უმაღლეს დონეზე თათბირის ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „ბატონ ხრუშჩოვთან უმაღლეს დონეზე მთელი რიგი თათბირებიდან პირველი თათბირის“ თარიღის შესახებ.

მაკმილანმა ხაზი გაუსვა მთელი რიგი თათბირების იდეის მნიშვნელობას, რომელიც, როგორც მან განაცხადა, „ძალიან გონივრულია“. შეეხო რა სხვა საკითხებს, რომლებიც პარიზში განიხილეს, მან თქვა, რომ მოეწყო ძლიერ სასარგებლო მოლაპარაკება ევროპის ზოგიერთი პრობლემის შესახებ.

უპასუხა რა შეკითხვაზე უმაღლესი დონის მომავალი თათბირის პერსპექტივების შესახებ, მაკმილანმა აღნიშნა, რომ, როგორც ჩანს, ყველაფერი კარგად უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რა დიდი ცვლილება მოხდა უკვე საერთაშორისო ატმოსფეროში იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც ერთი წლის წინათ იყო.

მოკლე ცნობები

◆ ბუდაპეშტში ხელი მოაწერეს უნგრეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ახალ კულტურულ შეთანხმებას და 1960 წელს კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის გეგმას.

◆ ნიიგატის ნავსადგურიდან (იაპონია) ორი საბჭოთა გემით „კრილონით“ და „ტობოლსკით“ გაემგზავრა კორეელ მოქალაქეთა მეორე ჯგუფი — 976 კაცი, რომლებიც იაპონიიდან დაბრუნდნენ სამშობლოში — კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. რეპატრიირებულნი გულთბილად გააცილეს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, მრავალმა ნაცნობმა და მეგობარმა.

◆ ომანის იმამის წარმომადგენლობამ კაიროში გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: იმ ნაღმების აფეთქების შედეგად, რომლებიც ომანელმა პატრიოტებმა ჩაწყვეს ალ-აუაბისა და როსტაკის შუა მდებარე რაიონში, მოკლულია 5 და დაჭრილია 14 ინგლისელი ჯარისკაცი. ნაღმებზე აფეთქდა მოწინააღმდეგის 5 ავტომობილი.

◆ ლიუბლიანაში (იუგოსლავია) გაიმართა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ვაჟთა და ქალთა ფრენბურთელების ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი დაამარცხეს იუგოსლავმა სპორტსმენებმა ანგარიშით 3:2. (საკადესი).

საგლეხოფოთი

დეკემბრის პლენუმი — მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

ვარშავა, 23 დეკემბერი. (საკადესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და მასზე განხილული საკითხები პოლონეთის პრესის ყურადღების ცენტრშია. პლენუმის გახსნის წინა დღეს პოლონეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს სტატიები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის და მებამბეობის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისადმი.

გაზეთები დღეს აქვეყნებენ ანგარიშს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პლენუმი განიხილავს საბჭოთა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების აქტუალურ პრობლემებს. პლენუმის ანგარიშს სათაურებში გაზეთები აღნიშნავენ: „საბჭოთა რესპუბლიკების მიღწევები“, „სსრ კავშირის კოლმეურნეები ამცირებენ შვიდწლიანი გეგმით დასახულ ვადებს“, „როგორ გამოვიყენოთ უკეთ და უფრო სწრაფად უდიდესი შესაძლებლობანი“.

ეხება რა საბჭოთა სოფლის მეურნეობის წარმატებებს, „ტრიბუნა ლუდუ“ წერს, რომ მილიონობით ჰექტარი ახალი მიწების ათვისებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სსრ კავშირში.

გაზეთები აღნიშნავენ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დ. ს. პოლიანსკის განცხადებას პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში იმის შესახებ, რომ მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდების მიზნით ურალის, ვოლგისპირეთის, ცომბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში ათვისებულ იქნება მილიონობით ჰექტარი ახალი მიწები და რომ ეს შესაძლებელს გახდის დამატებით მიიღონ 500-600 მილიონი ფუთი პური.

ბუქარესტი, 23 დეკემბერი. (საკადესი). ბუქარესტის ყველა დღიური გაზეთი დიდრონი სათაურებით აქვეყნებს საინფორმაციო ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გუშინ გახსნილი პლენუმის შესახებ, აგრეთვე ანგარიშს დილისა და საღამოს სხდომების მუშაობის შესახებ. გაზეთი „რომინია ლიბერა“ ბეჭდავს პლენუმის მონაწილეთა ჯგუფის ფოტოსურათს.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ პლენუმს ესწრება სოფლის მეურნეობის ბევრი სპეციალისტი და ხელმძღვანელი მუშაკი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების განხილვაში.

ბერლინი, 23 დეკემბერი. (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს.

პლენუმის გახსნის დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ვრცელი სტატია, რომელიც მიძღვნილია მეცხოველეობის განვითარებაში რიაზანის ოლქის მშრომელთა დიდი წარმატებებისადმი.

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს წინ უძღოდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების ფართო განხილვა, რაც რამდენიმე თვეს გაგრძელდა. აღნიშნავს რა დიდ შრომითს აღმავლობას, რომლითაც საბჭოთა კავშირის მშრომელები შეხვდნენ პლენუმს, გაზეთი წერს, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვეს მეცხოველეობის განვითარებაში.

დღეს ბერლინის დემოკრატიული გაზეთები თვალსაჩინო ადგილს ბეჭდავენ ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის შესახებ და დაწვრილებით მოჰყავთ მისი დღის წესრიგი. ცნობა პლენუმის გახსნის შესახებ გადასცეს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოსადგურებმა.

ბუდაპეშტი, 23 დეკემბერი. (საკადესი). დღეს უნგრეთის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის პირველი დღის შესახებ. პლენუმის მონაწილეთა მოხსენებებში გამოყოფილია ის ადგილები, სადაც ლაპარაკია წარმატებებზე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის განვითარებაში შვიდწლიანი გეგმის პირველ წელს.

პლენუმის გახსნისა და მუშაობის პირველი დღის შესახებ არაერთგზის გადასცა ცნობა უნგრეთის რადიომ.

ირანი ემუქრება ერაყს

თეირანი, 23 დეკემბერი. (საკადესი). ირანის გაზეთებისა და რადიოს ცნობები მოწმობენ, რომ ერაყის საწინააღმდეგო პროპაგანდისტული კამპანია გადაიქცა აქტიურ სომარ მზადებად ერაყის რესპუბლიკის წინააღმდეგ. დაიწყო ირანის ჯარების გადაყვანა ერაყის საზღვრებზე.

მაგალითად, 21 დეკემბერს ნაშუადღეს, იუწყება გაზეთი „ეთელაათი“, „მდინარე შატ-ელ-არაბის ნაპირზე ხოსროვაბადსა და შატიტში პოზიციები დაიკავეს თებრიზის დივიზიის საზენიტო დივიზიონის ჯარისკაცებმა. საზენიტო დივიზიონის შემდეგ ხორემშეჰრში ქერმანშაჰიდან ჩავიდა 28-ე საარტილერიო დივიზიონი. იგი დაბანაკდა მდინარე შატ-ელ-არაბის ნაპირის გასწვრივ მის შესართავში“. ხუზისტანის დივიზიაც, აცხადებს „ეთელაათი“, გამზადებულია საბრძოლველად.

ამავე დროს აბადანში, როგორც გაზეთი „ქეიხანი“ იუწყება, ჩავიდნენ საარტილერიო დივიზიონები და ქვეითი ბატალიონები „ირანის უფლებების დასაცავად შატ-ელ-არაბზე“. „ქეიხანი“ აგრეთვე იუწყება ხუზისტანის ტომებს შორის ერაყის საწინააღმდეგო საქმიანობის აქტივიზაციის შესახებ.

ერაყი ქედს არ მოიხრის

ბაღდადი, 22 დეკემბერი. (საკადესი). როგორც ბაღდადის რადიო გადმოგვცემს, ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა აბდელ ქერიმ ყასემმა, რომელიც სიტყვა წარმოთქვა მიტინგზე ახალი ქალაქის საძირკველის ჩაყრის გამო, განაცხადა, რომ ერაყის რესპუბლიკა სუვერენულია და ახორციელებს პოზიტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. მას არა აქვს არავითარი აგრესიული განზრახვა რომელიმე სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ იგი ძლიერია და არავის არ მისცემს ნებას დაარღვიოს მისი უფლებები და გადაჭრით დაიცავს ამ უფლებებს ყოველგვარი ხელყოფისაგან.

შეეხო რა ერაყის ურთიერთობას ირანთან, აბდელ ქერიმ ყასემმა განაცხადა, რომ ერაყი არ მიმართავს ძალას, სანამ არ ამოსწურავს ყველა მშვიდობიან საშუალებას უთანხმოებათა გადასაჭრელად, და რომ ერაყი ცდილობს ირანთან სასაზღვრო დავა მშვიდობიანი გზით გადაჭრას.

ნატო ეთანხმება

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკადესი). დღეს აქ გაიმართა ნატოს საბჭოს სხდომა, რომელზეც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კოვ დე მიურვილმა გააკეთა ინფორმაცია დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თათბირის შედეგების შესახებ. ნატოს საბჭომ განიხილა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უმაღლეს დონეზე თათბირისათვის მზადების შესახებ ნატოს ქვეყნების ინფორმირების „საუკეთესო მეთოდების“ საკითხი.

სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ნატოს საბჭო „სავსებით ეთანხმება“ დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პოზიციას.

ყოველი მხრიდან

◆ ეროვნული გამოფენების გაცვლა. ◆ კუბა მეგობრებს იძენს.
◆ ეიზენჰაუერი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა.
◆ კომუნიკე ფრანკოსთან ეიზენჰაუერის მოლაპარაკების შესახებ.
◆ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი ყომყანოს. ◆ საშრანგეთის სენატმა უარყო 1960 წლის ბიუჯეტის პროექტი.
◆ პარტიზანული ომი პარაგვაიში.

ლონდონი, 22 დეკემბერი. (საკადესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა კავშირსა და დად ბრიტანეთს შორის 1961 წელს ეროვნული სავაჭრო-სამრეწველო გამოფენების გაცვლის შესახებ.

ლონდონი, 22 დეკემბერი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ტუნისმა და განამ გადაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ კუბასთან და გაცვალონ მასთან დიპლომატიური წარმომადგენლები.

ვაშინგტონი, 23 დეკემბერი. (საკადესი). დღეს ევროპის, აზიისა და აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში მოგზაურობის შემდეგ, ვაშინგტონში დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი.

ლონდონი, 22 დეკემბერი. (საკადესი). რეიტერის სააგენტოს მადრიდელმა კორესპონდენტმა გადმოსცა ტექსტი კომუნიკესი, რომელიც გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა მოლაპარაკება მადრიდში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და გენერალ ფრანკოს შორის. კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა „ფართო წრე საერთაშორისო საკითხებისა, რომლებიც საინტერესოა ორივე ქვეყნისათვის“. როგორც კომუნიკედან ჩანს, ეიზენჰაუერმა, კერძოდ, ფრანკოსთან განიხილა თავისი ძმავალი ვიზიტი საბჭოთა კავშირში.

კომუნიკეში აღნიშნულია „სასიხარულო პროგრესი“ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთს შორის 1958 წელს ხელმოწერილ ეკონომიურ და სამხედრო შეთანხმებათა განხორციელებაში.

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საკადესი). იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო დეპარტამენტმა უარი თქვა გამორიცხოს მომავალ წელს შეერთებულ შტატების მიერ ატომგულის იარაღის გამოცდის განახლებია შესაძლებლობა.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ლინკოლნ უაიტმა თქვა, რომ ჯერ გადაწყვეტილი არ არის, გაგრძელდება თუ არა შეერთებული შტატების მიერ ატომგულის იარაღის გამოცდის ნებაყოფლობითი შეწყვეტა 31 დეკემბრის შემდეგ, როცა გადის ახლანდელი ვადა.

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკადესი). საფრანგეთის სენატმა მეორე წაკითხვისას 128 ხმით 73 ხმის წინააღმდეგ უარყო 1960 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ამ დღეებში მოიწონა ეროვნულმა კრებამ. ბიუჯეტის პროექტის უარყოფის მთავარი მიზეზია ის, რომ ახლანდელი მთავრობა უარს ამბობს აღიდგინოს პენსიები ყოფილ ფრონტელებს.

„იმისათვის, რომ ხმა მივცეთ ყოფილ ფრონტელებს, — განაცხადა სენატის სხდომაზე გამოსულმა კომუნისტმა ჟაკ დიუკლომ, — საჭიროა უარვყოთ ბიუჯეტის პროექტი. ეს ერთადერთი საშუალებაა განვუცხადოთ მთავრობას, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მოვთხოვოთ მას ყოფილ ფრონტელთა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება“.

ბიუჯეტს წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტმა, სოციალისტმა და ზოგიერთმა „დამოუკიდებელმა“ სენატორებმა. პარტია სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის წევრებმა და „დამოუკიდებელთა“ ნაწილმა თავი შეიკავეს.

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი. (საკადესი). როგორც იუწყება პარაგვაიში აჯანყებულთა შტაბთან მყოფი პრენსა ლატინას საააგენტოს კორესპონდენტი, პარტიზანები, რომლებიც რიტელის პარდლობით იბრძვიან, გამაგრდნენ პოზიციებზე პარაგვაის მთებში, რომლებიც მდებარეობს გეოგრაფიულ ცენტრში.

პარტიზანები, აღნიშნულია კორესპონდენციაში, „კვლავ წარმატებით მოქმედებენ პარაგვაის მთელ ტერიტორიაზე“. პარტიზანებთან ბრძოლებში მთავრობის ჯარებმა მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადეს ამ უკანასკნელ დღეებში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა. ახალი საცხოვრებელი სახლები ალაქ პეჩში.

ფოტო ფერენც ბალაშისა.

მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში

საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის 1958 წლის 23 დეკემბრის გრძელვადიანი შეთანხმების შესაბამისად მოსკოვში მოეწყო მოლაპარაკება 1960 წლის საქონელბრუნვის შესახებ ორივე ქვეყანას შორის. მოლაპარაკება მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა. 21 დეკემბერს ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირ-შვეიცარის ვაჭრობა მნიშვნელოვნად გადადდეს 1959 წლის დონესთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი შვეიცარიაში გაიტანს ზოგიერთი სახეობის მანქანებსა და მოწყობილობას, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, ქვანახშირსა და კოქსს, მარგანეცისა და ქრომის მადნს, თუჯს, ფეროშენადნობებს, ფერად ლითონებს, აბბესტს, მინერალურ სასუქებს, კოპტონსა და სხვა საქონელს. შვეიცარია სსრ კავშირს მოაწვდის ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის, საშენი მასალების წარმოების, ქიმიური და კვების მრეწველობის მოწყობილობას, ხარისხოვან ფოლადებს, ვისკოზის ცელულოზას, ქაღალდსა და მუყაოს და სხვა საქონელს.

ოქმს ხელს აწერენ სსრ კავშირის მთავრობის დავალებით — საბჭოთა დელეგაციის მეთაური ვ. ვ. მორდვინოვი, შვეიცარიის მთავრობის დავალებით — შვეიცარიის დელეგაციის მეთაური ბ. სვერდი.

ოქმის ხელისმოწერის დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. რ. კუზმინი და შვეიცარიის ელჩი სსრ კავშირში რ. სულმანი.

(საკადესი).

ვ. ყუშიტაშვილის

22 დეკემბერს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის რეჟისორ ვ. ყუშიტაშვილის დაბადების 65 წლისთავსა და თეატრალური მოღვაწეობის 40 წლისთავს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. დვალიშვილმა. მოხსენება რეჟისორ ვ. ყუშიტაშვილის შემოქმედების შესახებ გააკეთა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ბენაშვილმა.

იუბილარს მიესალმნენ: მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივის სახელით სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა — რესპუბლიკის სახალხო არტისტი პ. ფრანგიშვილი, კულტურის სამინისტროსი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. გვინჩიძე, რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით — რუსუბლიკის სახალხო არტისტი ე. დავითაშვილი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრისა — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, აგრეთვე თბილისისა და რესპუბლიკა ქალაქების თეატრების წარმომადგენლები.

რეჟისორული მოღვაწეობა ვ. ყუშიტაშვილმა დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში. 1918 წელს იგი მეთაურობს „სახალხო



მართალია, ზამთრის სუსხი საქართველოსაც ეწვია, მაგრამ შავი ზღვის სანაპიროებზე დეკემბერშიც გაზაფხულია. ჩვენი ზღვისპირეთი ზურმუხტისა და ნარინჯის ფერებშია ჩაფლული.

სურათზე: გაგრა. სასტუმრო „გაგრიფში“.

საიუბილეო საღამო

უნივერსიტეტთან“ შექმნილ სტუდიას. ერთი წლის შემდეგ ახორციელებს სოფოკლეს ტრაგედიის „ანტიგონეს“ დადგმას. ათი წლის განმავლობაში იგი წარმატებით მუშაობს პარიზში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1933 წელს ბრუნდება საქართველოში და რესპუბლიკის თეატრებში ახორციელებს ათობით დადგმას. მისი მთელი რიგი დადგმები ქართული თეატრის დიდი მიღწევაა. მათ შორის აღსანიშნავია ვ. ჰიუგოს „რუი-ბლაზი“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, შექსპირის „რიჩარდ მესამე“, ლერმონტოვის „მასკარადი“ და სხვ., რომლებიც მან განახორციელა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. (საკადესი).

გამოიწვიეთ „აგიტატორის ბლოკნოტი“?

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის იდეური დონე, მისი შინაარსი დამოკიდებულია აგიტატორთა კადრებზე. იმაზე, თუ რამდენად არიან ისინი დაუფლებული აგიტაციის ხელოვნებას.

აგიტატორის ბლოკნოტი

პარტიული ორგანიზაციების მდივნების და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების მუშაობაში მნიშვნელოვანია აგიტატორების უზრუნველყოფა მეთოდური მითითებებით, მასალებით, რომლებიც საჭიროა საუბრების . მოსამზადებლად და ჩასატარებლად.

ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეეძლია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალს „აგიტატორის ბლოკნოტს“.

იგი ბეჭდავს მეთოდურ რჩევა-დარიგებას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე, მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მოწინავე აგიტატორთა მუშაობის გამოცდილების პროპაგანდას, სისტემატურად ათავსებს მასალებს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. ჟურნალში იბეჭდება პასუხი შეკითხვებზე, სტატიები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილების შესახებ. ჟურნალის ფურცლებზე ქვეყნდება სანიმუშო თემები და ლიტერატურა საუბრების მოსაწყობად, ციფრები, ფაქტები, მაგალითები, ისტორიული თარიღებისადმი მიძღვნილი სპეციალური სტატიები და სხვა მასალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოხსენებებსა და საუბრებში.

ამხანაგებო — პარტორგანიზაციის მდივნებო, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებო, აგიტატორებო! არ დაგავიწყდეთ ჟურნალ „აგიტატორის ბლოკნოტის“ გამოწერა, იგი დიდ დახმარებას გაგიწევთ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

„აგიტატორის ბლოკნოტი“ გამოდის თვეში ორჯერ ქართულ და რუსულ ენებზე.

ა. ს. მახარაძე—ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ა. ს. მახარაძემ ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი საკითხები“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. ს. მახარაძისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ა. კიკნაძე — საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში

შესანიშნავი სასპორტო დარბაზი აქვთ საგარეჯოელებს. იგი 900-ზე მეტ მაყურებელს იტევს. აქ სამ დღეს მიმდინარეობდა ჩვენი რესპუბლიკის 18 უძლიერესი მოჭიდავის ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში ახალი ფალავნის გამოსავლენებლად.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ქართულ ჭიდაობაში მოიპოვა თბილელმა მოჭიდავემ სპორტის ოსტატმა ა. კიკნაძემ. მეორე ადგილი დაიკავა ზ. ჩიკვილაძემ (თბილისი), მესამე — გორელმა სპორტსმენმა დ. ბერუაშვილმა.

ათი ახალი გუნდი „ა“ კლასში

როგორც ვიუწყებოდით, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პლენუმის გადაწყვეტილებით 1960 წელს სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 22 გუნდი, ე. ი. გასულთ ჩემპიონატთან შედარებით „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების რიცხვი 10 გუნდით გაიზრდება.

XXII ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს „ა“ კლასის თორმეტივე გუნდი — „დინამო“ (მოსკოვი). „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი), სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის გუნდი (დონის როსტოვი), „ტორპედო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი), „ზენიტი“ (ლენინგრადი), სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი (მოსკოვი), „მოლდოვა“ (კიშინიოვი), „ვორსკლა სოვეტოვ“ (ყუბიშევი), „შახტიორი“ (სტალინო).

გარდა ამ გუნდებისა, „ა“ კლასში შევიდნენ: „კაირატი“ (ალმა-ატა), „პახტაკორი“ (ტაშკენტი), „ნეფტჩანიკი“ (ბაქო), „სპარტაკი“ (ერევანი), „დაუგავა“ (რიგა), „სპარტაკი“ (ვილნიუსი), „ქალევი“ (ტალინი), „სპარტაკი“ (მინსკი), „ავანგარდი“ (ხარკოვი), „ადმირალტეიცი“ (ლენინგრადი).

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

ინდივიდუალურ ბინათმშენებელ-მსესხებელთა საყურადღებოდ

სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა აცხადებს იმ მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოდ, რომლებსაც საკუთარი სახლის მშენებლობასა და კაპიტალურ რემონტზე მიღებული აქვთ ბანკის სესხი, რომ თანახმად მათ მიერ დადებული ვალდებულებისა, უნდა დაეფარათ დავალიანება ყოველი კვარტალის პირველი თვის 15 რიცხვამდე.

ზოგიერთმა მსესხებელმა მე-4 კვარტალის გადასახადი დღემდე არ გადაიხადა და დაუშვა ვადაგადაცილება, რის შედეგადაც ჩაშალა ბანკის საკასო გეგმის შესრულება.

მშენბანკის საქართველოს კანტორა აფრთხილებს მსესხებლებს, რომლებზეც ირიცხება დავალიანება, რომ დაფარონ იგი 25 დეკემბრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება ზომები სასამართლო ორგანოების საშუალებით დავალიანების იძულებითი წესით გადასახდევინებლად. ჯარიმა კი დაერიცხებათ ორმაგად.

სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა.

თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს ჰიდროლოგიური პროგნოზების სექტორის უფროსის თანამდებობაზე — მეცნიერების დოქტორი, კანდიდატი ან პრაქტიკული გამოცდილების დიდი სტაჟის მქონე.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, პლეხანოვის პრსპ., № 150.

თბილისის თეატრებში

24 დეკემბერი

ოპერისა და ბალეტის — ქიზელი (მე-7 აბონ. მე-6 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — როცა აიეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — ჩარლის დეიდა, **გრიბოედოვის სახელობის** — ყველაფერი ხალხში რჩება (1-ლი აბონ. მე-3 წარმ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომეტა ბ-2 (აბონ. № 16, 10 ს., აბონ. № 15, 3 ს.), **თოჯინების ქართული** — შელის ნუკრი (11 ს.), ჩექმებიანი კატა (2 ს.), **თოჯინების რუსული** — თეთრა (1 ს.).

ტელევიზია

24 დეკემბერი

19.30 — „სკოლების დასახმარებლად“ — კინონარკვევი „ცენტრიდანული მექანიზმები“ (მე-9 კლასის მოსწავლეთათვის), 19.40 — კინონარკვევი, 20.10 — სატელევიზიო ჟურნალი „ხელოვნება“ № 12, 20.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩექმები“ (ა. ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით), 21.20 — კინონარკვევი, 21.40 — კინოჟურნალი, 21.50 — ახალი მხატვრული ფილმი „მისი თაობა“.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-